# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 1

ინტერნეტ მოდემის მომსახურების გაწევის შესახებ

ქ. თბილისი 1 იანვარი 2014წ

## 1. ხელშეკრულების მხარეები

ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ:

ერთის მხრივ სსიპ 160-ე სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოადგენილი მისი დირექტორის გიორგი კაკაჩიას სახით და მეორეს მხრივ შპს „მაგთიკომი", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის იურიდიულ საკითხებში ანდრია ზოდელავას სახით, ( შემდგომში „მიმწოდებელი")

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

## 2. ხელშეკრულების საგანი, ხელშეკრულების ობიექტი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის ეკონომიკური სახსრებით მიმწოდებლისგან მომსახურების შესყიდვა.

2.2შესყიდვის ობიექტია:

1 ცალი **EVDO USB** – ინტერნეტ-მოდემის მომსახურება.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულებაა:

3.2 ერთ ცალ EVDO USB - ინტერნეტ-მოდემზე ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი შეადგენს იანვარში 30 (ოცდაათ) ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 360(სამასსამოცი) ლარს.

## 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტი არ გამოავლენს დეფექტებს და უპასუხებს შემსყიდველის მოთხოვნას.

4.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

## 5. მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის (ინტერნეტ–მოდემის) მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ხელმოწერიდან (ან განაცხადის (ზეპირი/წერილობითი)) და ანგარიშწორებიდან არაუგვიანეს 2 დღისა.

5.2 მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ოფისები.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი (ინტერნეტ-მოდემის მომსახურება) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-

ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც დასტურდება მხარეების წარმომადგენლების ხელმოწერებით.

## 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

7.2 ანაზღაურება მოხდება შემდეგი წესით:

7.2.1 მომსახურების გადასახადის გადახდა შესაძლებელია ნაღდი/უნაღდო ანგარისწორებით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

7.3 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს :

8.1.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

8.1.2 რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

8.1.3 მოითხოვოს მიმწოდებელისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1 განახორციელოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8.2.2 გადაიხადოს ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი იანვარში 30 (ოცდაათ) ლარი, თებერვლიდან 15(ხუთმეტი) ლარის ოდენობით.

8.2.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.3.1 მოთხოვოს შემსყიდველს დამზადებული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.

8.4.2 შემსყიდველის მიერ წინასწარ ყოველთვიური სააბონენტო გადასახადის (30 ლარი) გადახდის შემთხვევაში გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

8.4.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში არსებული შეფერხების შესახებ აცნობოს შემსყიდველს.

8.4.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში რაიმე ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი გამოსწორება დაუყოვნებლივ, შესაბამისი შეტყობინების (ზეპირი/წერილობითი) მიღების შემდეგ.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს

პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 მხარეთა პასუხისმგებლობის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევა ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

## 11. ხელშეკრულების გადასინჯვა

11.1 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, გადასინჯვა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება მისი საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3 ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ პირობით, თუ ის შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

12.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა ხელმოწერის დღიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

14.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით

შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარმოუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლეთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

14.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით და ჩაითვალოს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14.4 ხელშეკრულების დანართი (არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

14.5 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.6 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

14.7 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

14.8 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.9 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.10 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

14.11 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

## 15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

<u>შემსყიდველი:</u>
<u>სსიპ-ქ.თბილისი №160 საჯარო სკოლა</u>
<u>მისამართი: თბილისი მოსულიშვილია ქ.№1</u>
<u>ტელეფონი:577930060</u>
<u>ს/კ 209469074</u>
<u>საბანკო რეკვიზიტები სს„ ლიბერთი ბანკი"</u>
<u>საბანკო კოდი: L BRTG22</u>
<u>ანგარიში № GE06LB 0121 155 840 080 000</u>
*დირექტორი გიორგი კაკაჩია* ----------

<u>მიმწოდებელი:</u>
**შპს „მაგთიკომი"**
მისამართი – ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ.№5
საიდენტიფიკაციო კოდი 204876606
სს „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი 220101502
ა/ა 011467440
*გენერალური დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში* **ანდრია ზოდელავა** ----------